აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №36

2025 წლის 25 აგვისტო

ქ. თბილისი

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 30 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 30 აგვისტოს №22 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 04/09/2019წ. სარეგისტრაციო კოდი: 010340000.32.061.016272) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის სარგებლობაში გადმოცემული უძრავი/მოძრავი ქონების აღრიცხვა და შემდგომი გამოყენების პოლიტიკის განსაზღვრა;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის **გიორგი ჯინჭარაძე**
თავმჯდომარე